



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №38

2017 წელი 31 მაისი

ქ.ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სალიბაურში მდებარე სასაფლაოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-სათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სალიბაურში მდებარე 47995 კვ.მ და 47030 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.22.16.128 ს/კ 22.22.16.129) შემდგომში მისი მოვლა-პატრონობის მიზნით და გადაცემულ მიწის ნაკვეთებს მიენიჭოს სასაფლაოს სტატუსი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე